Tbilotel
HOTEL
Business & Leisure

შპს „თბილოტელი“

თბილისი 25 თებერვალი 2014 წელი

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს

ეხება განცხადებას №AR1156729;
ბრძანებებს: №711783 და №866800

შპს “თბილოტელისა” და ლევან ეგრისელაშვილის

ერთობლივი განცხადება

2013 წლის 30 მაისის ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება № 711783 ლევან ეგრისელაშვილს, როგორც დამკვეთს მიეცა მშენებლობის ნებართვა.

2013 წლის 22 აგვისტოს ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება № 866800 ამ მშენებლობის დამკვეთი გახდა შპს “თბილოტელი”.

2014 წლის 03 თებერვალს მოხდა 2 მიწის ნაკვეთის გაერთიანება (განცხადების № 882014015232): გაერთიანებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეები გახდნენ შპს “თბილოტელი” და ლევან ეგრისელაშვილი

გთხოვთ მოახდინოთ აღნიშნული მშენებლობის პროექტის მერედ კორექტირება.

პატივისცემით,

ლილი ტყეშელაშვილი

შპს “თბილოტელის” დირექტორი

ლევან ეგრისელაშვილი

შპს “თბილოტელის” ერთადერთი მესაკუთრე და გაერთიანებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე

მისამართი:
დარასელიას ქ. №8;
თბილისი, 0160.

ტელ/ფაქსი: +995 (32) 238 78 05; 04; 06.
tbilotel@tbilotel.ge
www.tbilotel.com

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №866800

ნომერი: AR1156729

თარიღი : 22.08.2013

გაცემის თარიღი : 12.09.2013

გაცნობის თარიღი :

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გაგარინის I შესახვევი , N 8ა ;

თბილისი ვ.დარასელიას ქ. N 8

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ეგრისელაშვილი პ/ნ 01031006524

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2013 წლის # 711783 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/22/2013 წელს

AR1156729 განცხადებით მომართა ლევან ეგრისელაშვილმა და მოითხოვა 30.05.2013 წლის # 711783 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, გაგარინის I შესახვევი, N8 / გაგარინის I შესახვევი, N8ა, მოქალაქე ლევან ეგრისელაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.10.13.009.011; N01.10.13.009.012) # 711783 ბრძანებით შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აქტის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 30 მაისიდან 2014 წლის 30 მაისის ჩათვლით. დამკვეთად მითითებულ იქნა აქტის გაცემის მომენტისათვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის ამონაწერის საფუძველზე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე – ლევან ეგრისელაშვილი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ახალი ამონაწერით დგინდება, რომ (საკადასტრო კოდი: 01 10 13 009/011; რეგისტრაციის თარიღი: 19/08/2013N რეგისტრაციის ნომერი 882013335838) მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის შპს "თბილოტელი". განმცხადებლის მიერ სამსახურში ასევე წარმოდგენილ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თანხმობა აქტში დამკვეთად დაფიქსირების თაობაზე.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მტავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, დღრეისათვის ობიექტის მესაკუთრე არის შპს "თბილოტელი" , რომელსაც აქვეს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2013 წლის # 711783 ბრძანებაში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრე შპს "თბილოტელი მიეთითოს დამკვეთად;
2.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2013 წლის # 711783 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.